საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №20/2017
2017 წლის 14 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 სექტემბრის №44/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ” მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 სექტემბრის №44/2014 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 15/09/2014, 010240000.15.008.016161) დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „დ)“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირი – დეპარტამენტის უფროსი;”.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	**თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**